

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელის  
ბრძანება N01-11/77**

ქ. ბათუმი

16 ნოემბერი 2015 წ.

**ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ასევე უმაღლესი აკადემიური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე მცირერიცხოვან ჯგუფების აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის აკადემიური დატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 31 ივლისის N1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის მე-4 პუნქტის, საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის შრომის საათობრივი ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) პროფესორი - 16 (თექვსმეტი) ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - 15 (თხუთმეტი) ლარი;

გ) დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი ან მოწვეული სპეციალისტი (უფროსი მასწავლებელი) – 14 (თოთხმეტი) ლარი;

დ) ასისტენტი/დოქტორის ხარისხის არმქონე მოწვეული სპეციალისტი (მასწავლებელი) – 13 (ცამეტი) ლარი.

2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მცირერიცხოვან ჯგუფებში (ბაკალავრიატში - 9 სტუდენტი და ნაკლები ჯგუფში, ხოლო მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში - 3 სტუდენტი და ნაკლები ჯგუფში) შესრულებული აკადემიური დატვირთვის ერთი საათი ანაზღაურდეს შემდეგნაირად:

**2.1. აკადემიური პერსონალისათვის:**

ა) პროფესორი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი/ემერიტუსი - 12 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 11 ლარი;

გ) დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი ან მოწვეული სპეციალისტი (უფროსი მასწავლებელი)/მეცნიერ თანამშრომელი - 10 ლარი;

დ) ასისტენტი/დოქტორის ხარისხის არმქონე მოწვეული სპეციალისტი (მასწავლებელი) – 9 ლარი.

## 2.2. მასწავლებელთა პერსონალისათვის:

- ა) პროფესორი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი/ემერიტუსი - 16 (თექვსმეტი) ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 15 (თხუთმეტი) ლარი;
- გ) დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი ან მოწვეული სპეციალისტი (უფროსი მასწავლებელი)/მეცნიერ თანამშრომელი - 14 (თოთხმეტი) ლარი;
- დ) ასისტენტი/დოქტორის ხარისხის არმქონე მოწვეული სპეციალისტი (მასწავლებელი) – 13 (ცამეტი) ლარი.

**(შევიდა ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 02 დეკემბრის N01-11/79 ბრძანებით)**

3. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი სპეციალისტის მოწვევის აუცილებლობიდან გამომდინარე, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ ბრძანებით დადგენილი ოდენობისაგან განსხვავებული ტარიფი.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

5. ბრძანება ძალაშია 2015-2016 სასწავლო წლიდან (2015 წლის 28 სექტემბრიდან).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ჯემალ ანანიძე